

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	6
4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა	8
5. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები	13
6. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	13
7. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	14
8. სხვა შემოსავალი	14
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14
10. ფინანსური შემოსავალი	14
11. ფინანსური ხარჯი	14
12. ძირითადი საშუალებები	15
13. საგადასახადო აქტივი	15
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
15. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული სახსრები	16
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
17. კაპიტალი	17
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
19. პირობითი ვალდებულებები	17
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	20
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	20
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელ ჯორჯიას“ მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ელ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 7 შენიშვნაში, 2022 და 2021 წელს პროექტებზე შესრულებულ სამუშაოებზე აღიარებულმა პირდაპირი მასალის ხარჯმა შეადგინა 7,263 და 7,578 ლარი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირდაპირი მასალის ჩამოწერის სრული დოკუმენტაცია, ამავ დროს კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით რომ პირდაპირი მასალის ხარჯის განაწილება წლებს შორის სრულად და ზუსტად იყო ასახული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დამშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლავლებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დამშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

23 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

23 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო.



შპს „ელ ჯორჯია“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6	27,551	34,861
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	7	(13,561)	(22,290)
საერთო მოგება		13,990	12,571
სხვა შემოსავალი	8	-	2,978
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(1,493)	(1,842)
საოპერაციო მოგება		12,497	13,707
ფინანსური შემოსავალი	10	279	317
ფინანსური ხარჯი	11	(390)	(301)
საკუროსო მოგება		29	18
მოგება დაბეგრამდე		12,415	13,741
მოგების გადასახადი		(853)	(204)
წლის სრული შემოსავალი		11,562	13,537

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 ოქტომბერს:

დიმიტრი კუპატაძე
დირექტორი

გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ელ ჯორჯია“


მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6	27,551	34,861
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	7	(13,561)	(22,290)
საერთო მოგება		13,990	12,571
სხვა შემოსავალი	8	-	2,978
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(1,493)	(1,842)
საოპერაციო მოგება		12,497	13,707
ფინანსური შემოსავალი	10	279	317
ფინანსური ხარჯი	11	(390)	(301)
საკურსო მოგება		29	18
მოგება დაბეგვრამდე		12,415	13,741
მოგების გადასახადი		(853)	(204)
წლის სრული შემოსავალი		11,562	13,537

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 ოქტომბერს:


დიმიტრი კუშავაძე
დირექტორი




გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	3,098	2,656	1,957
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,098	2,656	1,957
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		-	-	-
საგადასახადო აქტივი	13	396	511	-
გაცემული სესხები		-	78	204
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	12,857	9,901	5,873
ფინანსურ ინსტიტუტებში	15	2,844	5,877	-
განთავსებული სახსრები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	5,916	1,577	465
სულ მიმდინარე აქტივები		22,013	17,944	6,542
სულ აქტივები		25,111	20,600	8,499
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	17	15,812	9,083	(1,536)
სულ კაპიტალი		15,814	9,085	(1,534)
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	13	-	-	4,588
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	9,297	11,515	5,445
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,297	11,515	10,033
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,111	20,600	8,499

შპს „ელ ჯორჯია“**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	2	(1,536)	(1,534)
წლის სრული შემოსავალი	-	13,537	13,537
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები			
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,158)	(1,158)
მფლობელთან განხორციელებული სხვა ოპერაციები		(1,760)	(1,760)
31 დეკემბერი 2021	2	9,083	9,085
წლის სრული შემოსავალი	-	11,562	11,562
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები			
გამოცხადებული დივიდენდი	-	(4,833)	(4,833)
31 დეკემბერი 2022	2	15,812	15,814

შპს „ელ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	12,415	13,741
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	284	247
ფინანსური ხარჯი	390	301
ფინანსური შემოსავალი	(279)	(317)
ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული სარგებელი	-	(2,978)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	102	27
საკურსო (მოგება)/ზარალი	(29)	(18)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	12,883	11,003
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(3,029)	(4,037)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	115	(2,121)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2,608)	5,769
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	7,361	10,614
გადახდილი მოგების გადასახადი	(853)	(204)
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,508	10,410
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(726)	(946)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(726)	(946)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	279	317
გაცემული სესხები	78	126
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები სხვა ოპერაციები	-	(1,760)
გადახდილი დივიდენდი	(4,833)	(1,158)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაზე	(4,476)	(2,475)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	1,306	6,989
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	7,454	465
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	8,760	7,454

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ელ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2011 წლის 21 იანვარს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406042036.

ძირითადი საქმიანობა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა. კომპანია მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებულ სამშენებლო ტენდერებში, გამარჯვების შემთხვევაში, დამკვეთთან ფორმდება ხელშეკრულება, ტენდერში მოცემული სამუშაოს აღწერილობის და შეთავაზებული ფასების შესაბამისად. კომპანია ასევე წარმოადგენს ქვეკონტრაქტორს შედარებით დიდი მოცულობის პროექტებზე და უზრუნველყოფს მთელი შესასრულებელი სამუშაოებიდან გარკვეული ნაწილის შესრულებას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ., №13. კომპანიის სათავო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის ერთსა და იმავე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები:

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ერთადერთ დამფუძნებელს წარმოადგენდა ტარიელ გიორგაძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებებია:

ძირითადი საშუალებები - მენეჯმენტმა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს განახორციელა სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა, რისი შედეგიც ასახა რეტროსპექტულად. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები გაზრდილია 314 ლარით, ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 255 ლარით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა დააიდენტიფიცირა ზედმეტად გაუფასურებული მოთხოვნები, ამასთანავე დაკორექტირდა კონტრაგენტებთან არსებული ნაშთები შედარებების საფუძველზე.

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება - 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მენეჯმენტმა დაასრულა საგადასახადო ბარათისა და ბუღალტრულად არსებული ნაშთების დადარების პროცესი, რის შედეგადაც მოხდა შესაბამისი კორექტირებების ასახვა. კორექტირებების ასახვის დროს გაითვალისწინა საგადასახადო შემოწმების შედეგად დაკისრებული ჯარიმა-საურავები 2,978 ლარის ოდენობით. თუმცა გამომდინარე იქიდან რომ 2021 წელს ჯარიმა-საურავებზე გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, 2021 წელს აღნიშნული თანხა აღირებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი - 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მენეჯმენტმა დააიდენტიფიცირა საწესდებო კაპიტალზე შეცდომით ასახული თანხები და შეიტანა შესაბამისი შესწორებები.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან - 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მენეჯმენტმა დააიდენტიფიცირა 2022 წელს დათარიღებული სამუშაოების შესრულების აქტი, რომლის შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული უნდა იყოს 2021 წელს და ასახა შესაბამისი კორექტირებები.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის ფინანსური მდგომარეობისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები პრეზენტაციის მიზნებისთვის რეკლასიფიცირებულია ამავე პერიოდის შესადარის მუხლებში. მენეჯმენტი თვლის რომ ამგვარად წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, უკეთ ასახავს პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლების კლასიფიკაციას. ამ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია 2021 წლის ფინანსურ შედეგებზე.

2021 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	კორექტი- რება	რეკლასი- ფიკაცია	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2,342	314	-	2,656
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,342	314	-	2,656
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი	-	511	-	511
გაცემული სესხები	-	78	-	78

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)				
	31 დეკემბერი 2021	კორექტი- რება	რეკლასი- ფიკაცია	31 დეკემბერი 2021 გადაანგარიშებული
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,008	4,893	-	9,901
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული სახსრები	-	-	5,877	5,877
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,442	12	(5,877)	1,577
სულ მიმდინარე აქტივები	12,450	5,494	-	17,944
სულ აქტივები	14,792	5,808	-	20,600
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	-	2	-	2
გაუნაწილებელი მოგება	6,789	2,294	-	9,083
სულ კაპიტალი	6,789	2,296	-	9,085
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	313	(313)	-	-
მოკლევადიანი სესხები	3	(3)	-	-
გადასახდელი დივიდენდი	525	(525)	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,162	4,353	-	11,515
სულ მიმდინარე ვალდებულებები	8,003	3,512	-	11,515
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	14,792	5,808	-	20,600
2021 წლის 1 იანვრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:				
	31 დეკემბერი 2020	კორექტი- რება	რეკლასიფი- კაცია	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1,702	255	-	1,957
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,702	255	-	1,957
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-	-	-
გაცემული სესხები	-	-	204	204
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,509	568	(204)	5,873
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული სახსრები	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	499	(34)	-	465
სულ მიმდინარე აქტივები	6,008	534	-	6,542
სულ აქტივები	7,710	789	-	8,499
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	460	(458)	-	2
გაუნაწილებელი მოგება	(17)	(1,519)	-	(1,536)
სულ კაპიტალი	443	(1,977)	-	(1,534)

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2020	კორექტი- რება	რეკლასიფი- კაცია	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	1,837	2,751	-	4,588
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-
გადასახდელი დივიდენდი	358	(358)	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,072	373	-	5,445
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7,267	2,766	-	10,033
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,710	789	-	8,499

2021 წლის წლის შედეგებზე კორექტირებების ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	კორექტი- რება	რეკლასიფი- კაცია	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	34,592	269	-	34,861
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(21,170)	-	(1,120)	(22,290)
საერთო მოგება	13,422	269	(1,120)	12,571
სხვა შემოსავალი	-	2,978	-	2,978
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(3,468)	640	986	(1,842)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	(21)	-	21	-
საოპერაციო მოგება	9,933	3,887	(113)	13,707
ფინანსური შემოსავალი	300	17	-	317
ფინანსური ხარჯი	(32)	-	(269)	(301)
საკურსო მოგება/(ზარალი)	22	(4)	-	18
მოგება დაზღვევამდე	10,223	3,900	(382)	13,741
მოგების გადასახადი	(586)	-	382	(204)
წლის სრული შემოსავალი	9,637	3,900	-	13,537

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
1 იანვარი 2021	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
	ვადა
მანქანა დანადგარები	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5
სხვა	5

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**არამატერიალური აქტივები.**

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების
ჯგუფი	ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა ისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკვეთვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესაბამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის/მომსახურების დამკვეთისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება და იმ შემთხვევაში როდესაც, შედეგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში როდესაც სახელშეკრულებო თანხა წინასწარ არ არის განსაზღვრული, შემოსავალი აღიარდება დამოუკიდებელი ექსპერტის და ორივე მხარის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე, ბოლო აქტიდან წლის ბოლომდე პერიოდში ამონაგებად აღიარდება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და შესაბამისი სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის ;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **საგაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• **ანარიცხები სამშენებლო კონტრაქტების შესრულების გარანტიაზე.** სამშენებლო ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას ყოველ დასრულებულ პროექტზე წლების მიხედვით განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო თანხის გარკვეული პროცენტის ოდენობით. 2022 წელს კომპანიამ იანგარიშა მოსალოდნელი ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს დასრულებულ პროექტებზე ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის გამო. გაანგარიშებისას მენეჯმენტმა იხელმძღვანელა ისტორიული მონაცემებით. გაანგარიშებისას არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი ზარალი და შესაბამისად 2022 და შესაძარის წლებში არ გამხდარა ანარიცხის შექმნის საჭიროება.

6. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი მომხმარებლის ტიპების მიხედვით შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი ქვეკონტრაქტორული მომსახურებიდან	20,800	18,654
შემოსავალი ტენდერებიდან	6,471	15,574
სხვა	280	633
სულ	27,551	34,861

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
პირდაპირი მასალის ხარჯი	(7,263)	(7,578)
მშენებლობასთან დაკავშირებული პირდაპირი მომსახურების ხარჯი	(3,547)	(12,443)
პირდაპირი შრომის ხარჯი	(2,280)	(1,827)
ცვეთის ხარჯი	(214)	(181)
სხვა	(257)	(261)
სულ	(13,561)	(22,290)

8. სხვა შემოსავალი

2021 წელს შემოსავლების სამსახურთან გაფორმდა შეთანხმება შემოწმების შედეგად დაკისრებული ჯარიმა საურავების პატიებაზე 2,978 ლარის ოდენობით.

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შრომის ანაზღაურება	(1,013)	(1,447)
საექვო და უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	(107)	(27)
ექსპლუატაციის ხარჯი	(84)	(41)
ცვეთის ხარჯი	(70)	(65)
მივლინების ხარჯი	(53)	(45)
საკონსულტაციო ხარჯი	(48)	(9)
საგადასახადო ხარჯი	(43)	(20)
მიღებული მომსახურება	(14)	(31)
დაზღვევის ხარჯი	-	(102)
სხვა	(61)	(55)
სულ	(1,493)	(1,842)

10. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	273	297
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	6	20
სულ	279	317

11. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებთან გაფორმებული საგარანტიო ხელშეკრულებების ფარგლებში დარიცხულ საგარანტიო მომსახურების ხარჯებს.

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	სპეც- ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	2,401	511	102	34	3,048
შემოსვლა	812	354	162	-	1,328
გასვლა/ჩამოწერა	(291)	(141)	-	(3)	(435)
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	2,922	724	264	31	3,941
შემოსვლა	609	166	-	-	775
გასვლა/ჩამოწერა	(99)	-	-	-	(99)
31 დეკემბერი 2022	3,432	890	264	31	4,617
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	(801)	(190)	(75)	(26)	(1,091)
ცვეთის ხარჯი	(158)	(58)	(28)	(3)	(247)
გასვლა/ჩამოწერა	34	15	-	4	53
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	(925)	(233)	(103)	(25)	(1,285)
ცვეთის ხარჯი	(195)	(61)	(26)	(2)	(284)
გასვლა/ჩამოწერა	50	-	-	-	50
31 დეკემბერი 2022	(1,070)	(294)	(129)	(27)	(1,519)
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	1,600	321	27	8	1,957
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1,997	491	161	6	2,656
31 დეკემბერი 2022	2,362	596	135	4	3,098

2022 წელს სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები რომლებიც გამოიყენებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში შეადგენდა 106 ლარს (2021: 396 ლარი; 2020: 19 ლარი).

13. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	6,546	4,701	2,485
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	4,303	5,175	3,683
სულ ფინანსური მოთხოვნები	10,849	9,876	6,168
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	(781)	(680)	(652)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	10,068	9,196	5,516

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
სხვა გადახდილი ავანსები	2,387	705	357
დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ავანსები	402	-	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,789	705	357
გაუფასურების რეზერვი	-	-	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები, ნეტო	2,789	705	357
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	12,857	9,901	5,873

უიმედო და საექვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(680)	(652)
უიმედო და საექვო ვალის რეზერვის ცვლილება	(101)	(28)
ნაშთი წლის ბოლოს	(781)	(680)

15. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული სახსრები

ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები შედგება სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებით დამკვეთზე გაცემული ბანკის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ბლოკირებული თანხისგან. ბლოკირებული თანხები განთავსებულია ბანკში და ბლოკირების პერიოდი გარანტიის პერიოდის იდენტურია და არ აღემატება სამ თვიან პერიოდს.

კომპანია სამშენებლო პროექტებთან დაკავშირებით დამკვეთებისთვის შემდეგი სახის გარანტიებს გასცემს: ტენდერში მონაწილეობის გარანტია, პროექტის შესრულების გარანტია და პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
შეზღუდული ფული ვალუტაში	3,042	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,874	1,265	462
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	310	-
ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	-	2	3
სულ	5,916	1,577	465

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს 3,042 ლარის ოდენობის შეზღუდული ფული, რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადებაზე ნაკისრი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად საბანკო გარანტიის მიღების მიზნით ბანკის მიერ დაბლოკილ თანხებს. აღნიშნული შეზღუდვა მთლიანად იხსნება სატენდერო ხელშეკრულების შესრულებისას.

კომპანიას მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 5.5%-ის ოდენობით. 2022 წელს დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 273 ლარს (2021: 297 ლარი).

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას/(დაუფარავ ზარალს).

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება ხდებოდა პერიოდულად. ჯამში გაცემულ იქნა 4,833 ლარის (2021: 1,158 ლარი) ოდენობის დივიდენდი. გარკვეული ხარჯები მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიამ გაწია მფლობელის ინტერესებიდან გამომდინარე მისი სახელით. ასეთი ხარჯები წარდგენილია პირდაპირ კაპიტალში როგორც მფლობელის სახელით განხორციელებული ოპერაციების შედეგი.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ტარიელ გიორგაძე.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	782	1,680	644
გადასახდელი ხელფასები	318	400	210
სხვა	111	111	111
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,211	2,191	965
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარისგან	4,673	9,244	2,018
სხვა მიღებული ავანსები	3,413	80	2,462
სულ არაფინანსური ვალდებულებები	8,086	9,324	4,480
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,297	11,515	5,445

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროადადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოვოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის სახე		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6,948	4,701	2,485
სავაჭრო ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4,673	9,244	2,018

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის სახე		2022	2021
შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	20,800	15,999
ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	301	268

ოპერაციები მენეჯმენტთან

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	346	751

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადდა და გაიცა დამფუძნებელზე 1,630 ლარის ოდენობის დივიდენდი.

**შპს „ელ ჯორჯია“
მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ელ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია დიმიტრი კუპატაძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას სამშენებლო საქმიანობა (მ.შ. ახალი მშენებლობა (მ.შ. მონტაჟი); რეკონსტრუქცია; რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა; დემონტაჟი; დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება) წარმოადგენს. აღნიშნული საქმიანობა კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარი წყაროა.

კომპანია მონაწილეობს სამშენებლო ტენდერებში, საიდანაც იღებს შეკვეთებს.

კომპანიის შემოსავლებმა 2022 წელს შეადგინა - 27,551 ლარი, 2021 წელს - 34,861 ლარი, რაც შემოსავლების ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ქვეკონტრაქტორული მომსახურებიდან	20,800	18,654
შემოსავალი ტენდერებიდან	6,471	15,574
სამშენებლო მასალების რეალიზაცია	280	633
სულ	27,551	34,861

შპს „ელ ჯორჯია“ ინვესტიციებს სხვა კომპანიებში არ ფლობს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები	2022	2021
სულ შემოსავალი	27,551	34,861
სულ აქტივები	25,111	20,600
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	95	94
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.37	1.56
უკუგება აქტივებზე ROA	0.49	0.67
უკუგება კაპიტალზე ROE	0.79	1.51

თანამშრომლები: შპს „ელ ჯორჯიას“ თანამშრომელთა რაოდენობა წლის განმავლობაში 75-დან 150-მდე მერყეობდა. შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება-დასაქმების მიზნით, კომპანიას აქვს შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა.

კომპანიის მენეჯმენტი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობით უდგება არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტებისა და პროცედურების დაცვა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	შენიშვნა
ძირითადი საშუალებები	3,098	2,656	შენიშვნა #1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,857	9,901	შენიშვნა #2
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,297	11,515	შენიშვნა #3
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	27,551	34,861	შენიშვნა #4
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(13,561)	(22,290)	შენიშვნა #5

შენიშვნა #1

ძირითადი საშუალებების ზრდა გამოწვეულია 2022 წლის განმავლობაში მიმდინარე პროექტებისთვის შეძენილი სპეც-ტექნიკით.

შენიშვნა #2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა გამოწვეულია 2022 წლის ბოლოს გადახდილი მნიშვნელოვანი ოდენობის ავანსებით.

შენიშვნა #3

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება 2022 წელს გამოწვეულია მიღებული ავანსების შემცირებით. 2022 წლის განმავლობაში დასრულდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი.

შენიშვნა #4

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან 2022 წელს შემცირებულია, ვინაიდან დასრულდა რამდენიმე პროექტი, ხოლო ახალი პროექტები კომპანიას არ დაუწყია 2022 წელს.

შენიშვნა #5

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები შემცირებულია სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების პროპორციულად. 2022 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დასრულდა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი შესყიდვები მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,672	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში მრეწველობის დარგებში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოხიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 ოქტომბერს:

დიმიტრი კუპატაძე
დირექტორი

გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ელ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 ოქტომბერს:


დimitრი კუპატაძე
დირექტორი

გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი